ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4669910

ნომერი: AR1705467

თარიღი : 10.09.2019

გაცემის თარიღი : 13.09.2019

გაცნობის თარიღი : 13.09.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ვაჟა-ფშაველა , კვარტალი VII , კორპუსი 25;

დამკვეთი-განმცხადებელი

- აკაკი ჩოჩია პ/ნ 01021009605
- თბილისი თემქა III მ/რ V კვ. კორ. 14"ა" ბ. 39

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

საპროექტო დავალებით გათვალისწინებული გაქვთ ფართის მომატება (მიშენება). რაც წარმოადგენს არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციას - მიშენებით, რაც ცდება I კლასის მახასიათებელს და საჭიროებს მშენებლობის ნებართვის გაცემას. "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 37-ე მუხლის თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად (გარდა განსაზღვრული გამონაკლისებისა). ამათგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი წარმოება. მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდეგი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. ვინაიდან სარეკონსტრუქციო სამუშაოები მოიცავს განაშენიანების ფართობის ზრდას, საკითხი ჯერ უნდა დააყენოთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის კუთხით (I სტადია), შემდგომ არქიტექტურული პროექტის შეთანხმების (II სტადია) და მშენებლობის ნებართვის გაცემის (III სტადია) კუთხით. რისთვისაც საჭიროა დაარეგისტრიროთ ახალი განცხადება. ამავდროულად წარმოდგენილი ფოტოსურათებით დგინდება, რომ სარეკონსტრუქციოდ წარმოდგენილი ფართი არ წარმოადგენს საცხოვრებელ ფართს და სამსახურს სარეკონსტრუქციო ფართის ფუნქციის ცვლილება საცხოვრებელ ფარტად არ მიაჩნია მიზანშეწონილად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.